შპს „გოლდ პაკი“ (შემდგომში „დედა კომპანია“) დაარსდა 2010 წლის 14 აპრილს და მდებარეობს საქართველოში, საიდენტიფიკაციო ნომრით 404859532. დედა კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დედა კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა. დედა კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, 6010, ბათუმი, ბაღის ქუჩა, #23.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიის უშუალო მფლობელები არიან ირაკლი ძინძიბაძე 40%, გიორგი ძინძიბაძე 30%, პეტრე ძინძიბაძე 30% წილებით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დედა კომპანიის გენერალური დირექტორია მირიან ბრეგვაძე.

შპს „კონსტანტ პაპიერ ფერპაკუნგ“ (შემდგომში „შვილობილი კომპანია“), დაარსდა 2017 წლის 31 მარტს და მდებარეობს საქართველოში, საიდენტიფიკაციო ნომრით 405199039. შვილობილი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შვილობილი კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სხვა შუალედური პროდუქტებით. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, 0131, თბილისი, დიდოში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანიის უშუალო მფლობელები არიან ეკატერინე ფიცხელაური 15% წილით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს გოლდპაკი 85% წილით.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილი კომპანიის გენერალური დირექტორია ეკატერინე ფიცხელაური.

2. მომზადების საფუძვლები

2.1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა გამოიყენა ის სტანდარტები, ინტერპრეტაციები და პოლიტიკა, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით თუ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.2. კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანია - შვილობილი არის ჯგუფის მიერ კონტროლირებული საწარმო. ჯგუფი აკონტროლებს კომპანიას, თუ მას აქვს შვილობილ კომპანიაში ჩართულობით ცვალებადი ამონაგების მიღების და ასევე ამონაგებზე გავლენის მოხდენის უფლებამოსილება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონტროლის განხორციელების მომენტიდან მისი შეწყვეტის მომენტამდე.

კონტროლის დაკარგვა - მას შემდეგ რაც კონტროლი დაიკარგება, ჯგუფი წყვეტს შვილობილის აქტივების და ვალდებულებების, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის და საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას რომლებიც შვილობილს უკავშირდება. ნებისმიერი ნამეტი ან დეფიციტი რომელიც წარმოიშვება კონტროლის დაკარგვისას აღიარდება მოგება ან ზარალში. თუ ჯგუფი ინარჩუნებს რაიმე წილს ყოფილ შვილობილში, ასეთი წილი შეფასებულია რეალური ღირებულებით კონტროლის დაკარგვის თარიღის მდგომარეობით.

კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები - შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ოპერაციებით ამოღებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

2.3. შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.4. საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.5. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ჯგუფის მომგებიანობა, კაპიტალის ოდენობა და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

გახორციელდა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და ჯგუფის ძლიერი ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით ხელმძღვანელობა დარწმუნებულია ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.6. შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სრულ შესაბამისობაში. ჯგუფი ამზადებს კონსოლიდირებულ მსს ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამის ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება შემდეგ ვებგვერდზე: www.reportal.ge.

მომხმარებლები უნდა გაეცნონ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რათა მოიპოვონ სრული ინფორმაცია დედა კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ზოგად ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებზე და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

3.1. ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2024	2023
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7208	2.6279
1 ევრო/ლარი	2.9440	2.8416

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

3.3. ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო გაკანვეთის გამოყენებით.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. ჯგუფის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტრიბებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

3.4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად აისახება.

თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

3.5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

3.6. მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო მოსაკრებელს და გადასახადს, ტრანსპორტირების, დატვირთვის და სხვა დანახარჯებს, რაც პირდაპირ არის მიკუთვნებადი საქონლის შეძენაზე. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული დასრულების და გაყიდვის ხარჯებით.

3.7. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ჯგუფი ფლობს მიწას. შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში	
მიწა	არაცვეთადი
შენობა	30
სატრანსპორტო საშუალებები	5-15
საოფისე აღჭურვილობა	3-10
მანქანა დანადგარები	3-14
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

3.8. არამატერიალური აქტივები

3.9. არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ ღონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის ილენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

3.10. გადახდილი ავანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება.

თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

3.11. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი 2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტიამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დივიდენდების გადახდიდან წარმომდბილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი. გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულების ურთიერთგადაფარვა ხელმისაწვდომია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილ მოგების გადასახადზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

3.12. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება ჯგუფისმფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

3.13. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაძლებელი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან.

3.14. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ჯგუფის შემოსავლები გენერირებულია არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ ღონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი იზომება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გათვალისწინებით ჯგუფის მიერ დაშვებული ფასდაკლებებისა და სარგებლებთან დაკავშირებული კორექტირებებისა. ჯგუფის მიღებული შემოსავალი აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მომსახურება ფაქტობრივად გაწეულია და მყიდველს აქვს მიღებული სარგებელი ან მომსახურების შედეგი.

3.15. მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- ▶ აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- ▶ მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ▶ უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- ▶ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3.16. დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც განსაზღვრულია მსს ფასს - ით „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მსს ფასს – 2015 წ. მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

3.17. ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულების მოდელით. შემდგომში, ასეთი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურებით (თუ ასეთი არსებობს). დივიდენდები შვილობილი საწარმოდან აღირიცხება როგორც შემოსავალი იმ პერიოდში, როდესაც ინვესტორს უჩნდება დივიდენდის მიღების უფლება.

4. არსებითი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

4.1 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ნორმალურ ბიზნეს პირობებში, ჯგუფი ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. როცა ასეთი ოპერაციებისთვის არ არის აქტიური ბაზარი, გადაწყვეტილებები მიიღება იმის განსაზღვრით ოპერაციები ბაზრის ფასით არის შეფასებული, თუ არა. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია ჯგუფს მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

4.3 სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, ჯგუფი იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება								
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	73,900	-	476,990	73,240	29,838	73,553	509,969	1,237,490
შეძენები	1,157,895	2,568,064	-	107,403	13,081	17,745	70,978	3,935,166
ჩამოწერები	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,231,795	2,568,064	476,990	180,643	42,919	91,298	580,947	5,172,656
შეძენები	-	1,660,471	-	28,476	14,483	-	184,502	1,887,932
ჩამოწერები	-	-	-	(12,000)	-	-	(25,381)	(37,381)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,231,795	4,228,535	476,990	197,119	57,402	91,298	740,068	7,023,207
დაგროვილი ცვეთა								
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(69,724)	(53,749)	(13,483)	(30,011)	(207,435)	(374,402)
წლის ცვეთის დარიცხვა	-	-	(14,975)	(2,169)	(4,008)	(13,197)	(47,304)	(81,653)
წლის ცვეთის რექავერი	-	-	-	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(84,699)	(55,918)	(17,491)	(43,208)	(254,739)	(456,055)
წლის ცვეთის დარიცხვა	-	-	(14,975)	(3,364)	(5,650)	(8,836)	(41,538)	(74,363)
წლის ცვეთის რექავერი	-	-	-	9,658	-	-	17,414	27,072
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(99,674)	(49,624)	(23,141)	(52,044)	(278,863)	(503,346)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	73,900	-	407,266	19,491	16,355	43,542	302,534	863,088
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,231,795	2,568,064	392,291	124,725	25,428	48,090	326,208	4,716,601
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,231,795	4,228,535	377,316	147,495	34,261	39,254	461,205	6,519,861

6. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	საბუღალტრო პროგრამა
31 დეკემბერი, 2022	21,603
შეძენა	10,911
31 დეკემბერი, 2023	32,514
შეძენა	-
31 დეკემბერი, 2024	32,514
დაგროვებული ცვეთა	
31 დეკემბერი, 2022	(4,196)
წლის ცვეთა	(2,200)
31 დეკემბერი, 2023	(6,396)
წლის ცვეთა	(2,472)
31 დეკემბერი, 2024	(8,868)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2022	17,407
31 დეკემბერი, 2023	26,118
31 დეკემბერი, 2024	23,646

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საქონელი	4,597,026	3,303,592
ნედლეული და მასალები	98,414	196,210
მზა პროდუქცია	42,936	98,714
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,133	1,441
სულ მარაგები	4,739,509	3,599,957

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	4,647,692	4,739,143
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,647,692	4,739,143

9. ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში

შვილობილი კომპანიის დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	საკუთრების წილი	ხმის მიცემის წილი	ძირითადი საქმიანობა	
შპს ციტრონი	საქართველო	50%	50%	საბითუმო ვაჭრობა სხვა შუალედური პროდუქტებით	
				31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ღირებულება წლის დასაწყისში				494,723	494,723
ინვესტიციები წლის განმავლობაში				-	-
ნაშთი წლის ბოლოს				494,723	494,723

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	534,004	639,690
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4,376	16,652
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	45	51
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	538,425	656,393

11. მიღებული სესხები

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებული მხარეებისგან:						
ძინძიბაძე ირაკლი					17,421	17,421
კომერციული ბანკებისგან:						
თიბისი ბანკი (ეროვნული)	12.5%	GEL	30-ივნ-2023	7-ივლ-2033	3,852,898	4,325,678
ლიბერთი ბანკი (უცხოური)	4% + EURRIBOR	EUR	10-დეკ-2021	10-დეკ-2026	537,079	790,537
ლიბერთი ბანკი (ეროვნული)	14%	GEL	5-მაი-2023	3-აპრ-2028	52,834	102,843
სულ მიღებული სესხები					4,460,232	5,236,479
დარიცხული პროცენტი						
სესხის ძირი						

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	5,236,480	2,263,699
სესხის მიღება	3,194	6,486,233
საკურსო სხვაობა	(5,801)	(8,529)
სესხის გადახდა	(743,985)	(3,504,924)
პროცენტის დარიცხვა	542,051	328,955

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

პროცენტის დაფარვა	(571,707)	(328,955)
31 დეკემბერის მდგომარეობით	4,460,232	5,236,479

შპს გოლდ პაკს (დედა კომპანიას) სს „ლიბერთი ბანკი“-დან აღებულ სესხზე ქონდა შემდეგი კოვენანტები: შპს გოლდ პაკიდან, დივიდენდის გაცემა მოხდეს სს ლიბერთი ბანკის თანხმობის გარეშე, თუ დივიდენდის თანხა წლის მანძილზე არ აღემატება 450,000 ლარს და თუ 2025 წელს კომპანიის ფინანსური მონაცემები არ იქნება შემცირებული 2024 წელთან მიმართებაში; ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე არ აიღებს დამატებით ვალდებულებებს სხვა საფინანსო ინსტიტუტებში.

დედა კომპანიას მიუღებელი აქვს აღნიშნული ბანკისგან ოფიციალური ვეივერის (waiver letter) დოკუმენტი რადგან ნაწილობრივ დარღვეული ქონდა კოვენანტი.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	711,841	800,539
სახელფასო ვალდებულება	107,592	96,087
სხვა ვალდებულებები	58,465	76,878
	877,898	973,504

13. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	21,230,468	20,244,887
შემოსავალი იჯარიდან	58,410	57,600
სულ შემოსავალი	21,288,878	20,302,487

14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13,771,013	11,719,672
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	15,002	-
სხვა	-	8,105
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13,786,015	11,727,777

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	2,401,200	1,745,224
საიჯარო ქირა	248,882	227,498
საწვავის ხარჯი	221,127	167,532
მანქანის ხარჯი	145,994	87,226

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

სხვა საგადასახადო ხარჯი	97,400	31,185
ცვეთა და ამორტიზაცია	76,835	83,853
მივლინების ხარჯი	44,403	34,945
კომუნიკაციის ხარჯები	34,444	17,413
საკონსულტაციო ხარჯები	33,000	36,000
მარკეტინგული ხარჯი	24,069	54,883
კომუნალური ხარჯები	27,193	25,656
ბანკის მომსახურების ხარჯი	19,155	1,577
დაზღვევა	500	-
სხვა	262,328	199,598
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,636,530	2,712,590

16. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	(71,087)	(132,479)
გრძელვადიანი სესხები	5,800	8,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(43,979)	(20,287)
სულ საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	(109,266)	(144,237)

17. სხვა შემოსავალი/ხარჯი

	2024	2023
მოთხოვნების და ვალდებულებების ნაშთის გასწორება	619,667	1,114,391
მიღებული დივიდენდები	132,632	88,332
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ზარალი	(7,967)	-
სხვა შემოსავლები	380,380	415,293
სულ სხვა შემოსავალი/ხარჯი	1,124,712	1,618,016

18. ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) წმინდა

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	13,428	22,600
საპროცენტო ხარჯი	(542,051)	(330,245)
სულ ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი) წმინდა	(528,623)	(307,645)

19. სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის მდგომარეობით შეადგენდა 191,516 ლარს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 23,586 ლარს. აღნიშნული ბალანსები ასახავს იმ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებს ეკუთვნით საქონლისა და მომსახურების მიწოდების შედეგად, ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

20. საგადასახადო ვალდებულებები / აქტივები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით ჯგუფი საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივს 1,122,408 ლარის ღირებულებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 643,709 ლარის ღირებულებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფმა შემოსავლების სამსახურის ბარათთან ბუღალტრული ბაზის შედარებისას გამოვლენილი სხვაობები გააკორექტირა 2024 წელს 379,374 ლარის ოდენობით და 2023 წელს 381,648 ლარის ოდენობით. სხვაობები ეხება დღგ-ს, იმპორტის, სამშენოსავლოს, მოგებისა და ქონების გადასახადებს.

21. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ და შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგინა 53,416 ლარი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბერს 53,416 ლარი.

22. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ერთობლივი საწარმო	1,091,645	1,040,307
მეკავშირე საწარმო	145,391	772
ერთობლივი საწარმო	772	180,891
	1,237,808	1,221,970

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მეკავშირე საწარმო	82,764	10,193
ერთობლივი საწარმო	71,731	8,834
ერთობლივი საწარმო	37,021	4,559
	191,516	23,586

ამონაგები	2024	2023
ერთობლივი საწარმო	1,046,429	1,119,185
	1,046,429	1,119,185

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
ერთობლივი საწარმო	18,000	22,356
	18,000	22,356

ლივიდენდები	2024	2023
	423,777	725,647

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2024	2023
-----------------------------	------	------

შპს გოლდ პაკი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

117,898

120,329

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაჰორეჟტირებელ მოვლენებს დედა კომპანიაში:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ ლიბერტი ბანკიდან აიღო საკრედიტო ხაზის ფარგლებში სესხი 246,000 ლარი, რომელიც გაიცა 2025 წლის 30 ივნისს. ლიბერტი ბანკიდან აიღო საკრედიტო ხაზის ფარგლებში სესხი 200,000 ევრო, რომელიც გაიცა 2025 წლის 30 ივლისს. გამოცხადებული დივიდენდი არის 450,000 ლარის ოდენობით, რომელიც განაწილდა 2022 წლის მოგებიდან.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს შვილობილ კომპანიაში, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

2024

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „გოლდ პაკი“

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:.....	2
1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	3
2. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ	4
3. კომპანიის საქმიანობა	4
4. განვითარების გეგმები	4
5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.....	4

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდ პაკი“ (შემდგომში – „კომპანია“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს.

კომპანია დაფუძნდა 14.04.2010 წელს

2024 წლისთვის კომპანიის დამფუძნებლები და წილის მფლობელები არიან:

ფიზიკური პირი: ირაკლი ძინძიბაძე 40 % წილის მფლობელი

ფიზიკური პირი: გიორგი ძინძიბაძე 30 % წილის მფლობელი

ფიზიკური პირი: პეტრე ძინძიბაძე 30 % წილის მფლობელი

2024 წლის საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიის დირექტორი არის მირიან ბრეგვაძე.

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 5 თანამშრომლით. საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც.

2024 წლის განმავლობაში კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 66 თანამშრომელი შესაბამისად.

	2024	2023	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	66	56	10

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენციას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც კომპანიის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „გოლდ პაკი“ ს/კ 404859532 (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს.

კომპანია დაარსდა 2010 წელს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: ქალაქი ბათუმი, ბადის ქ. 23

კომპანიის დირექტორი : მირიან ბრეგვაძე პ/ნ 54001050325

3. კომპანიის საქმიანობა

ერთჯერადი შესაფუთი მასალების რეალიზაცია.

კომპანიის ამონაგებმა 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგინა 19 592 440 ლარი და 17 766 182 ლარი შესაბამისად.

4. განვითარების გეგმები

კომპანია გეგმავს ბაზრის წილის გაფართოებას, რეალიზაციის 20%-ით ზრდას მომდევნო სამ წელიწადში. პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, საოპერაციო ხარჯების შემცირებას და მომწოდებლების რაოდენობის ზრდას.

5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

	2024	2023
შემოსავალი	19 592 440	17 766 182
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	12 349 134	10 918 019
საერთო მოგება	7 243 306	6 848 163
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 958 230	2 670 199
რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები		
საოპერაციო მოგება	4 214 149	4 200 887
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო ხარჯები	542 051	300 390
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	(70 927)	22 923
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
მოგება დაბეგრამდე	3 601 171	3 900 497
მოგების გადასახადის ხარჯი		
წლის მთლიანი სრული მოგება		

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა სრული შემოსავალი

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

3 203 524

3 174 850

5 ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

	2024	2023	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	36.9 %	38.5 %	-1.6 %
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	17.8 %	21.9 %	-4.1 %
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები)	19.7 %	29.0 %	-9.3 %
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი კაპიტალი)	31.9 %	48.3 %	-16.4%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები (ლარებში).

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023
სულ აქტივები	18 224 226	13 414 114
სულ ვალდებულებები	6 954 083	5 347 495
კაპიტალი	11 270 143	8 066 619

დირექტორი: მირიან ბრეგვაძე

ხელმოწერა:

შპს „გოლდ პაკი“

27 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

2023

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:

სარჩევი

მმართველობის ანგარიშგება:.....	2
1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა	3
2. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ	4
3. კომპანიის საქმიანობა	4
4. განვითარების გეგმები	4
5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.....	4

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

ზოგადი ინფორმაცია

შპს „გოლდ პაკი“ (შემდგომში – “კომპანია”) წარმოადგენს “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს.

კომპანია დაფუძნდა 14.04.2010 წელს

2023 წლისთვის კომპანიის დამფუძნებლები და წილის მფლობელები არიან:

ფიზიკური პირი: ირაკლი ძინძიბაძე 40 % წილის მფლობელი

ფიზიკური პირი: გიორგი ძინძიბაძე 30 % წილის მფლობელი

ფიზიკური პირი: პეტრე ძინძიბაძე 30 % წილის მფლობელი

2023 წლის საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიის დირექტორი არის მირიან ბრეგვაძე.

კომპანიამ ფუნქციონირება დაიწყო 5 თანამშრომლით. საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობაც.

2023 წლის განმავლობაში კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 66 თანამშრომელი შესაბამისად.

	2023	2022	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	56	45	11

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენციას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც კომპანიის წარმატებული საქმიანობის საფუძველია.

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „გოლდ პაკი“ ს/კ 404859532 (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს.

კომპანია დაარსდა 2010 წელს. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: ქალაქი ბათუმი, ბადის ქ. 23

კომპანიის დირექტორი : მირიან ბრეგვაძე პ/ნ 54001050325

3. კომპანიის საქმიანობა

ერთჯერადი შესაფუთი მასალების რეალიზაცია.

კომპანიის ამონაგებმა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგინა 17 766 182 ლარი და 13 563 440 ლარი შესაბამისად.

4. განვითარების გეგმები

კომპანია გეგმავს ბაზრის წილის გაფართოებას, რეალიზაციის 20%-ით ზრდას მომდევნო სამ წელიწადში. პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას, საოპერაციო ხარჯების შემცირებას და მომწოდებლების რაოდენობის ზრდას.

5. ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შემდეგია:

	2023	2022
შემოსავალი	17 766 182	13 563 440
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	10 918 019	8 831 650
საერთო მოგება	6 848 163	4 731 791
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2 670 199	2 067 665
რეალიზაციისა და მიწოდების დანახარჯები		
საოპერაციო მოგება	4 200 887	3 104 750
საპროცენტო შემოსავლები		
საპროცენტო ხარჯები	300 390	297 527
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	22 923	476 624
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		
მოგება დაბეგრამდე	3 900 497	2 807 223
მოგების გადასახადის ხარჯი		
წლის მთლიანი სრული მოგება		

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა სრული შემოსავალი

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

3 174 850

2 507 155

5 ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

	2023	2022	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	38.5%	34.8%	3.7%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	21.9%	20.6%	1.3%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები)	29.0%	36.5%	-7.5%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი კაპიტალი)	48.3%	57.3%	-9%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები (ლარებში).

ფინანსური კოეფიციენტები	2023	2022
სულ აქტივები	13 414 114	7 670 796
სულ ვალდებულებები	5 347 495	2 775 755
კაპიტალი	8 066 619	4 895 044

დირექტორი: მირიან ბრეგვაძე

ხელმოწერა:

შპს „გოლდ პაკი“

27 ნოემბერი, 2025

შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა სრული შემოსავალი

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

3 203 524

3 174 850

5 ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

	2024	2023	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	36.9 %	38.5 %	-1.6 %
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	17.8 %	21.9 %	-4.1 %
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები)	19.7 %	29.0 %	-9.3 %
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი კაპიტალი)	31.9 %	48.3 %	-16.4 %

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები (ლარებში).

ფინანსური კოეფიციენტები	2024	2023
სულ აქტივები	18 224 226	13 414 114
სულ ვალდებულებები	6 954 083	5 347 495
კაპიტალი	11 270 143	8 066 619

დირექტორი: მირიან ბრეგვაძე

ხელმოწერა:

შპს „გოლდ პაკი“

27 ნოემბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს „გოლდ პაკი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სხვა სრული შემოსავალი

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

3 174 850

2 507 155

5 ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

	2023	2022	ცვლილება
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	38.5%	34.8%	3.7%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	21.9%	20.6%	1.3%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი აქტივები)	29.0%	36.5%	-7.5%
კაპიტალზე უკუგება (წმინდა მოგება/მთლიანი კაპიტალი)	48.3%	57.3%	-9%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები (ლარებში).

ფინანსური კოეფიციენტები	2023	2022
სულ აქტივები	13 414 114	7 670 796
სულ ვალდებულებები	5 347 495	2 775 755
კაპიტალი	8 066 619	4 895 044

დირექტორი: მირიან ბრეგვაძე

ხელმოწერა:

შპს „გოლდ პაკი“

27 ნოემბერი, 2025

